



# სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულო

## განკარგულება

N 10  
26/03/2021

10-0-4-202103261501




### სიღნაღის მუნიციპალიტეტის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის 2021 წლის სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-19 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. დამტკიცდეს სიღნაღის მუნიციპალიტეტის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის 2021 წლის სამოქმედო გეგმა თანდართული დანართის შესაბამისად.
2. ეს განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
3. ამ განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია სიღნაღის რაიონულ სასამართლოში (ქ.სიღნაღი ც. დადიანის ქ.#15 ) განკარგულების ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში.

ილია ხატიაშვილი

საკრებულოს თავმჯდომარე



სიღნაღის მუნიციპალიტეტის შერღულული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის 2021 წლის

სამოქმედო გეგმა

მიზანი 1.	შერღულული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის სისტემური გარანტიების გაძლიერება და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში მათი მონაწილეობის გაზრდა.						
ამოცანა 1.	შშპ პირების დაძლევილებელი ცხოვრების ხელშეწყობა და მის აწვდომობის გარანტიების გაძლიერება.						
	<p><b>ამოცანის საბაზისო მაჩვენებელი:</b> კანონი „შერღულული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ ითვალისწინებს შშპ პირების მისაწვდომობის გარანტიების გაძლიერებას ადმინისტრაციულ და სხვა ღონისძიებების გატარების გზით ცენტრალურ და ადგილობრივ დონეზე.</p>	<p><b>ამოცანის საბოლოო მაჩვენებელი:</b> შშპ პირების მისაწვდომობის გარანტიების გაძლიერების განხორციელება დაწყებულია ადმინისტრაციული და სხვა ღონისძიებების გატარებით.</p>					
აქტივობა 1.1.1.	მუშაობა-ნაგებობების მშენებლობისას და რეაბილიტაციისას მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტების ეფექტიანად განხორციელების მიზნით მუნიციპალიტეტის თანამშრომელითა კვალიფიკაციის ამაღლება.						
	<p><b>აქტივობის შედეგის ინდიკატორი:</b> გადამზადებული თანამშრომლები</p>	<p>შესრულების ვადა 2021 წლის მე-4 კვარტალი</p>	<p>დაფინანსების წყარო</p> <table border="1" data-bbox="1205 1007 1798 1198"> <tr> <td data-bbox="1205 1007 1541 1082">მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი</td> <td data-bbox="1541 1007 1798 1082">სხვა</td> </tr> <tr> <td data-bbox="1205 1082 1541 1198"></td> <td data-bbox="1541 1082 1798 1198"></td> </tr> </table>	მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი	სხვა		
მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი	სხვა						
	<p><b>პარტნიორი უწყება:</b> საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო</p>						
აქტივობა 1.1.2.	მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული ადმინისტრაციული შენობების იდენტიფიცირების დაწყება, რომელიც შესაძლებელია დაეკავშირებოდეს ადაპტირებას.						

<p>აქტივობის შედეგის ინდიკატორი:  <i>მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული  იდენტიფიცირებული ადმინისტრაციული  შენობები</i></p>	<p>შესრულების  ვადა</p>	<p>დაფინანსების წყარო</p>	
	<p>2021 წლის მე-4  კვარტალი</p>	<p>მუნიციპალიტეტის  ბიუჯეტი</p>	<p>სხვა</p>
<p>პარტნიორი უწყება:  <i>საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო</i></p>			